



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**  
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

**დამტკიცებულია**  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2011 წლის 12 იანვრის  
**# 383 დადგენილებით**  
**მოდირიცირებულია**  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2013 წლის 8 ოქტომბრის  
**# 984 დადგენილებით**

**სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორი - 040766**  
**Logistics Operator at Carrier Companies**  
**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

- I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორი
- II. პროფესიული განათლების საფეხური:** მეხუთე
- III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
- IV. პროგრამის მოცულობა:** 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ), სულ 1500 საათი.
- აქედან:
- 36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 510; დამოუკიდებელი - 290; შუალედური/დასკვნითი შეფასება 80);  
24 კრედიტი (600) პრაქტიკის კომპონენტისთვის.
- V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** მეხუთე საფეხურზე დაიშვებიან პირები პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე და აქვთ ამავე სპეციალობის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დიპლომი.
- VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

**პროგრამის მიზანია მოამზადოს** სატრანსპორტო ფირმებში მეხუთე საფეხურის ლოჯისტიკის ოპერატორი, რომელსაც შეუძლია: შესაბამისი თეორიული კონცეფციების პროფესიულ გარემოში გადატანა და საქმიანობა სტანდარტული და აპრობირებული მეთოდებით.

სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ფირმების საწარმოო ოპერაციების მართვა, ოპერატიული მართვა, ოპერატიული დაგეგმვა, სატრანსპორტო ნაკადებისა და ტერმინალური კომპლექსების პარამეტრების, სატრანსპორტო დანახარჯების განსაზღვრა, ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ანალიზი, მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტების, ოპტიმალური სატრანსპორტო სქემების შერჩევა, ლოჯისტიკური სისტემების შესაბამის ადგილზე მუშაობა, ტრანსპორტის მოძრაობის გეგმების, გადაზიდვის პროცესების ტექნოლოგიური ორგანიზაცია.

სატრანსპორტო-ტექნოლოგიური პროცესის დოკუმენტრუნვის ორგანიზაცია, ლოჯისტიკური პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა; მონაცემთა ბაზების შექმნა.

ლოჯისტიკური პრობლემების ამოცნობა, მისი გადაწყვეტის ამოცანების იდენტიფიცირება და ანალიზი, დასაბუთებული დასკვნების გამოტანა თავისი კომპეტენციის ფარგლებში. პროფესიულ საკითხებზე ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური კომუნიკაცია სპეციალისტებთან, როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე.

ოპერატორის პროფესიის შესწავლისას მიღებულ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დამოუკიდებლად გააღრმავოს სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ბიზნესთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად.

**VII. სწავლის შედეგი:**

**მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:**

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ბიზნესთან დაკავშირებული მრავალმხრივი და სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. მსოფლიოსა და რეგიონების სატრანსპორტო სისტემები; ერთიანი სატრანსპორტო ქსელის კონფიგურაცია, ტვირთების ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური თვისებების, სატრანსპორტო ქსელის კონფიგურაცია. სატვირთო ნაკადები და მათი პარამეტრების განსაზღვრის მეთოდები, სხვადასხვა სახის ტრანსპორტის საწარმოთა მოწყობილობა და მეურნეობა: გადაზიდვების ტექნოლოგია, ორგანიზაცია და მართვა; ლოჯისტიკური და სატრანსპორტო მენეჯმენტის ძირითადი კონცეფციების, ლოჯისტიკური მენეჯმენტის, დაგეგმვისა და მართვის მეთოდოლოგიური საფუძვლები, მიკრო და მაკროლოჯისტიკური სისტემები, ლოჯისტიკის ფუნქციონალური და მხარდაჭერი ფუნქციების მენეჯმენტი; სატრანსპორტო ლოჯისტიკისა და სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების საფუძვლები. ლოჯისტიკის და სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემების მოდელირების, გამოკვლევისა და პროექტირების მეთოდები; სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ბაზრების შესწავლის, მომსახურებაზე მოთხოვნის განსაზღვრისა და პროექტირების მეთოდები; სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემებისა და გადაზიდვების გაანგარიშების მეთოდები;</p>
-------------------------------------	---

	<p>სატრანსპორტო ფირმების ორგანიზაციის საფუძვლები და ფუნქციონირების ძირითადი ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდები.</p> <p>სატრანსპორტო ნაკადების გაანგარიშების მეთოდოლოგია ალბათობის თეორიის გამოყენებით. იცნობს ძირითად რეგიონულ და სასაქონლო ბაზრებს, ლოგისტიკური სერვისის ძირითად სახეებს. აცნობიერებს ლოგისტიკური მომსახურების ძირითად პრინციპებს და მომსახურების დონის შეფასების მეთოდებს. სატრანსპორტო-ლოგისტიკური ბაზრებზე გარემო ფაქტორების გავლენის იდენტიფიცირებისა და შეფასების ცოდნა; საბაზრო-გარემოში ფირმის საქმიანობის ადაპტირებისათვის ლოგისტიკური მეთოდების გამოყენების სპეციფიკა.</p> <p>1.5. მორალურ, ეთიკურ, გარემოსდაცვით და სამართლებრივი საკითხების ცოდნა და გაცნობიერება, რომელიც საფუძველს უქმნის სატრანსპორტო-ლოგისტიკური ბიზნესის წარმატებულ განვითარებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.</p> <p>1.6 ეროვნული და საერთაშორისო სატრანსპორტო კანონმდებლობა:</p> <p>ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ გადაზიდვების სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების საკითხებს; ტვირთების გადაზიდვის წესები; კონვენციები და შეთანხმებები საერთაშორისო-სატვირთო მიმოსვლების შესახებ; სატრანსპორტო, სატვირთო და ფინანსური დოკუმენტაციის ფორმები; ტვირთების გადაზიდვების სატრანსპორტო ექსპედიცია და დაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმების წესები; საბაჟო კანონმდებლობის საფუძვლები; შრომის კანონმდებლობა; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა საბაჟო გაფორმების და დეკლარირების წესები.</p> <p>1.7. აცნობიერებს პროფესიულ პასუხისმგებლობას, პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს) და სათანადო ეთიკურ ნორმებს.</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია შესაბამისი თეორიული კონცეფციების პროფესიულ გარემოში გადატანა და საქმიანობა სტანდარტული და აპრობირებული მეთოდებით. სატრანსპორტო-</p>

	<p>ლოგისტიკური ფირმების ძირითადი საწარმოო ოპერაციების მართვა.</p> <p>სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპლექსების ოპერატიული დაგეგმვა;</p> <p>სატრანსპორტო ნაკადებისა და ტერმინალური კომპლექსების პარამეტრების განსაზღვრა; სატრანსპორტო დანახარჯების განსაზღვრა; ყველა სახის ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ანალიზი; ტრანსპორტის სახის შერჩევა; ყველა სახის ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო პარამეტრების ანგარიში; სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტების შერჩევა; ოპტიმალური სატრანსპორტო ტექნოლოგიების სქემის შერჩევა; მარაგების პარამეტრების განსაზღვრა;</p> <p>ლოგისტიკურ სისტემების შესაბამის უბანზე მუშაობა; ტრანსპორტის მოძრაობის გეგმების დამუშავება; გადაზიდვის პროცესის ტექნოლოგიური ორგანიზაცია (სატრანსპორტო საშუალებათა მომზადება, ტვირთების მიღება, შენახვა, მიზიდვის კონტროლი და დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა კოორდინაცია, კონტეინერიზაცია, პაკეტირება, საინფორმაციო-კომპიუტერული მომსახურების გაწევა). სატრანსპორტო-ტექნოლოგიური პროცესის დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია; გადაზიდვის ხარისხის ანალიზი; ტვირთების საბაჟო გადაფორმების ორგანიზაცია; საბაჟო რეჟიმების განსაზღვრა; საბაჟო დოკუმენტების შევსება; ტვირთებისა და სატრანსპორტო საშუალებათა საბაჟო დეკლარირება; საბაჟო გადასახადების გადახდა; სატრანსპორტო საშუალებათა და პასუხისმგებლობის დაზღვევა; სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების გაწევა; ყველა სახის ტრანსპორტზე სატრანსპორტო-სასაქონლო დოკუმენტების შედგენა; პერსონალის ოპერატიული მართვა; სატრანსპორტო-ლოგისტიკური მომსახურების ზონის განსაზღვრა და ამისთვის საინფორმაციო ბაზების შექმნა; სატრანსპორტო-ლოგისტიკური მომსახურების, სატრანსპორტო ნაკადების და სხვა ტიპის ინფორმაციის იდენტიფიცირება, მოგროვება, გადამუშავება, ანალიზი,</p>
--	---

	<p>გადაცემა და გადაწყვეტილების არგუმენტირება. სატრანსპორტო-ლოგისტიკური ბიზნესთან დაკავშირებული ეთიკური, უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმების გამოყენება.</p>
<b>დასკვნის გაკეთების უნარი</b>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული ლოგისტიკური პრობლემის ამოცნობა. მისი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გამოტანა კომპეტენციის ფარგლებში.</p>
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	<p>თავისი პროფესიული პასუხისმგებლობის ფარგლებში პროფესიულ საკითხებზე შეუძლია ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით კომუნიკაცია სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, როგორც მშობლიურ, ისე ინგლისურ ენაზე, იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს</p>
<b>სწავლის უნარი</b>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. აქვს უნარი სატრანსპორტო ფორმებში ლოჯისტიკის ოპერატორის პროფესიის შესწავლისას მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დამოუკიდებლად გააღრმავოს სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ბიზნესთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად. გაერკვეს მენეჯმენტის სიახლეებში.</p>
<b>ღირებულებები</b>	<p>აფასებს საკუთარ და სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი. სატრანსპორტო-ლოგისტიკურ პრობლემებს მორალურ-ეთიკური, გარემოსდაცვითი და სამართლებრივი საკითხების ცოდნითა და გათვალისწინებით გადაჭრის.</p>

**VIII. სწავლის შედეგების რუქა**

**V საფეხური**

საგნები	Cod	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენ. უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინგლისური ენა B2	ENG5P07	x	x		x		

ინფორმატიკა 2	<b>INF2P08</b>	×	×		×		
სატრანსპორტო ლოჯისტიკის ეკონომიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფა	<b>EISTL05</b>	×		×	×	×	×
სხვადასხვა სახის ტრან-სპორტის ურთიერთქმე- დების ლოჯისტიკა	<b>PCLIVR05</b>	×	×		×	×	×
მენეჯმენტი ტრანსპორტზე	<b>MTRAN05</b>	×	×	×			
უსაფრთხოება ტრანსპორტზე	<b>SOTR205</b>	×	×	×			
საერთაშორისო სატრან-სპორტო ლოჯისტიკის მართვა	<b>MOITL05</b>	×	×	×			
სატრანსპორტო ლოჯისტიკის სამართლებრივი რეგულირება	<b>LAOTL05</b>	×	×	×			
სატრანსპორტო გადა-ზიდვები კანონმდებლობით	<b>TLOTL05</b>	×	×	×			
საბაჟო საქმე ტრანსპორტზე	<b>COTRN05</b>	×	×	×			

**IX. სასწავლო გეგმა**

**I სემესტრი**

ს ა გ ნ ე ბ ი	Cod	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
			ლექცია/პრაქტიკული	შეკრულებული (ლაბორატორიული)	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შიდასიხა		
ინგლისური ენა B2	ENG5P07	5	/60	-	-	-	8	57	125
ინფორმატიკა 2	PRII205	5	/60	-	-	-	8	57	125
სატრანსპორტო ლოჯისტიკის ეკონომ. და საინფორმ. უზრუნველყოფა	EISTL05	7	30/15		60	50	8	12	175
სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედების ლოჯისტიკა	PCLIVR05	7	30/15		60	50	8	12	175
მენეჯმენტი ტრანსპორტზე	MTRAN05	6	15/15		60	50	8	2	150
სულ		30	75/165		180	150	40	140	750

**II სემესტრი**

ს ა გ ნ ე ბ ი	Cod	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
			ლექცია/პრაქტიკული	პრაქტიკული (ლაბორატორიული)	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შიდასიხა		
უსაფრთხოება ტრანსპორტზე	SOTR205	7	45/15	-	30	30	8	47	175
საერთაშორისო სატრანსპორტო ლოჯისტიკის მართვა	MOITL05	6	45/15	-	30	30	8	22	150
სატრანსპორტო გადაზიდვები კანონ-მდებლობით	TLOTL05	7	45/15	-	30	30	8	47	175
საბაჟო საქმე ტრანსპორტზე	COTR N05	5	30/15	-	30	20	8	22	125
სატრანსპორტო ლოჯისტიკის სამართლებრივი რეგულირება	LAOTL05	5	30/15	-	30	30	8	12	125
სულ		30	195/75	-	150	140	40	150	750

## **შენიშვნა:**

### **სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:**

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

**თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.**

**1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება -2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება -2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება -2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

**2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება -2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება -2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება -2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

**3. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება -2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება -2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება -2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

**4. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა;

გამოცდა - სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;

## **X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)**

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკა;
- ტესტების ჩაბარებას;
- გამოცდების ჩაბარებას.

## **XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება**

შეფასების ზოგადი წესები:

ხუთი სახის დადებით შეფასება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;



- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი გამოცდის შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება;
- ზეპირი გამოკითხვა;
- პრეზენტაცია.

## XII. სწავლების ფორმები:

თეორიული სწავლება;

პრაქტიკული მეცადინეობა;

ლაბორატორიული სამუშაო;

სასწავლო პრაქტიკა;

საწარმოო პრაქტიკა.

## სწავლის მეთოდები:

ინტერაქტიული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; სწავლების დედუქციური მეთოდი; ახსნაგანმარტებითი მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი.

## XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანურ რესურსების შესახებ

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
სატრანსპორტო ლოჯისტიკის ეკონომ. და საინფორმაციო უზრუნველყოფა	ნ. ბუთხუზი	ტრანსპორტის ინჟინერი
სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედების ლოჯისტიკა	პ. ქენქაძე	გზათა მიმოსვლის ინჟინერი
მენეჯმენტი ტრანსპორტზე	ნ. ბუთხუზი	ტრანსპორტის ინჟინერი

უსაფრთხოება ტრანსპორტზე	ზ.ბოგველიშვილი	ინჟინერ-მექანიკოსი
საერთაშორისო სატრანსპორტო ლოჯისტიკის მართვა	ლ. ბოცვაძე	მართვის პროგრამების ინჟინერი
სატრანსპორტო ლოჯისტიკის სამართლებრივი რეგულირება	ლ. ბოცვაძე	მართვის პროგრამების ინჟინერი
სატრანსპორტო გადაზიდვები კანონმდებლობით	თ. გორშკოვი	ინჟინერ-მექანიკოსი
საბაჟო საქმე ტრანსპორტზე	ვ.ბოგველიშვილი	ინჟინერ-მექანიკოსი

**პრაქტიკული კომპონენტის პედაგოგები**

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინგლისური ენა B2	არველაძე თამარ	ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
ინფორმატიკა 2	ლ.შავერდაშვილი	მათემატიკოსი
სატრანსპორტო ლოჯისტიკის ეკონომ. და საინფორმაციო უზრუნველყოფა	ნ.ბუთხუზი	ტრანსპორტის ინჟინერი
სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედების ლოჯისტიკა	პ. ქენქაძე	გზათა მიმოსვლის ინჟინერი
მენეჯმენტი ტრანსპორტზე	ნ.ბუთხუზი	ტრანსპორტის ინჟინერი
უსაფრთხოება ტრანსპორტზე	ზ.ბოგველიშვილი	ინჟინერ-მექანიკოსი
საერთაშორისო სატრანსპორტო ლოჯისტიკის მართვა	ლ. ბოცვაძე	მართვის პროგრამების ინჟინერი
სატრანსპორტო ლოჯისტიკის სამართლებრივი რეგულირება	ლ. ბოცვაძე	მართვის პროგრამების ინჟინერი
სატრანსპორტო გადაზიდვები კანონმდებლობით	თ. გორშკოვი	ინჟინერ-მექანიკოსი
საბაჟო საქმე ტრანსპორტზე	ვ.ბოგველიშვილი	ინჟინერ-მექანიკოსი

**XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსის შესახებ**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანამშენებლობის ფაკულტეტზე ლოჯისტიკის ოპერატორის პროფესიული სწავლებისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შედგება :

1. სატრანსპორტო და მანქანამშენებლობის ფაკულტეტის კომპიუტერული ცენტრი, სტუ-ს I კორპ.
2. საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციის ლაბორატორია, სტუ-ს I და VII კორპ.
3. სასწავლო პრაქტიკის აუდიტორია. სტუ-ს VII კორპ.

**XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა**

იხ. დანართი 3

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ლევან ბოცვაძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის უფროსი

მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

**მიღებულია**

**მოდულირებული სახით**

სატრანსპორტო და მანქანამშენებლობის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე,  
ოქმი N1, 20. 09. 2013წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურთან